

## სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კეთილდღეობის შეფასების სხვადასხვა სისტემების განსაზღვრა: მოსაზრება

### შეჯამება

სასოფლო - სამეურნეო ცხოველთა კეთილდღეობის შეფასების პარამეტრების განსაზღვრა წარმოადგენს დიდ სირთულეს. პარამეტრების შედარება მოიცავს ორ ცალკეულ ასპექტს:

- I. ყველა პარამეტრის შედარება უნდა მოხდეს საერთო კრიტერიუმით, სადაც კეთილდღეობის საერთო შკალის ერთი ბოლო შეესაბამება კეთილდღეობის საუკეთესო პირობებს, ხოლო მეორე ბოლო – ყველაზე უარესს. ეს ტრანსფორმაცია გულისხმობს გადაწყვეტილებას, ამა თუ იმ პარამეტრის რომელი დონეა თანაბრად მნიშვნელოვანი განხილული ცხოველების კეთილდღეობისთვის. პარამეტრების დონეები, რომლებიც მიჩნეულია თანაბრად მნიშვნელოვნად, შკალაზე მიეკუთვნება ერთი და იგივე კატეგორიას.
- II. შკალის მეორე ასპექტი განსაზღვრავს პარამეტრის რიგობითობას და რაოდენობითობას, ასევე კატეგორიების რაოდენობას. შკალას გააჩნია რამოდენიმე კატეგორია და რამოდენიმე ნიუანსის გამოქვეყნების უნარი. რაოდენობით შკალის გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია, რომ I და II კატეგორიებსა და II და III კატეგორიებს შორის არსებული მანძილი თანაბარი იყოს და ა.შ. ეს პრობლემა არ არსებობს რიგობით შკალასთან მიმართებაში.

როცა ყველა პარამეტრი საერთო შკალაზე იქნება განხილული (მოცემული, გადატანილი), მაშინ კეთილდღეობის საერთო შეფასებისათვის ეს პარამეტრები კომბინირებული აღმოჩნდება. ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანია, თუ როგორ დონეზე განხორციელდება ცხოველთა კეთილდღეობის განმსაზღვრელი დადებით ასპექტებს მიერ ნეგატიური ასპექტების კომპენსირება. კეთილდღეობის შეფასების არსებული სისტემები მოიცავს სამ განსხვავებულ მიდგომას: ნულოვანი (არანაირი) კომპენსაცია, ნაწილობრივი კომპენსაცია და სრულყოფილი კომპენსაცია.

საერთო შკალის შესაქმნელი სხვადასხვა სახის ტექნიკური საკითხები, ისევე კრიტიკულად განიხილება, როგორც კომპენსაციის მეთოდის საკითხი, რომელიც გავლენას ახდენს კეთილდღეობის შეფასების საბოლოო შედეგებზე.

**ძირითადი სიტყვები:** ცხოველთა კეთილდღეობა, კეთილდღეობის შეფასება, შკალა, შედარება, კომპენსაცია.

## შესავალი

ხშირად გამოითქმის მოსაზრებები, რომ შეუძლებელია კეთილდღეობის სხვადასხვა სახის პარამეტრის შედარება, როგორცაა მაგ. ფურები კერტების (teat tramping – თამრიკო, ამ სიტყვის მნიშვნელობა ბოლომდე ვერ გავიგე, მაგრამ ყველანაირი ლექსიკონით ცური ან ძუძუა) საკითხი და ცხოველთა სიმჭიდროვის მაღალი მაჩვენებელი. ეს პრეტენზია ნაწილობრივ უკავშირდება იმ დაბნეულობას და აზრთა სხვადასხვაობას, რომელიც სუფევს ცხოველთა კეთილდღეობის საკითხების გარშემო. ცხოველთა კეთილდღეობის სხვადასხვა განსაზღვრებები გამოკვეთავს კეთილდღეობის სხვადასხვა ასპექტებს – მაგ. ცხოველთა კეთილდღეობის ჰედონისტური განსაზღვრება უპირატესობას ანიჭებს ტკივილის არარსებობას, მაშინ როდესაც ნატურალისტური შეხედულება ხაზს უსვამს “ბუნებრივ” საცხოვრებელ(ყოფით) პირობებს. მიუხედავად ამისა, კეთილდღეობის ზემოთ მოცემულ განსაზღვრებაში პრობლემა მაინც არსებობს. კერტების(ცურის) პრობლემა იწვევს მოკლე, ინტენსიურ ტკივილს, მაშინ როდესაც ჯგუფური მოშენება მოიცავს საზოგადოების შეჯახების ხანგრძლივ, კომპლექსურ გამოცდილებას. პირველი ასპექტი გავლენას ახდენს საქონლის მხოლოდ მცირე ნაწილზე, ხოლო მეორე მოქმედებს მათ უმრავლესობაზე. ერთი შეხედვით ეს ორი პარამეტრი ისე განსხვავდება ერთმანეთისგან, რომ შეუძლებელია რაიმე შედარების გაკეთება. თუმცა ამ დოკუმენტში ჩვენ ვიმსჯელებთ, რომ შედარება ნამდვილად შესაძლებელია და აუცილებელიცაა, რათა შეფასება განხორციელდეს საქონლის დონეზე. ჩვენ აგრეთვე განვიხილავთ ზოგიერთ მნიშვნელოვან ასპექტსაც და მივუთითებთ იმ უდიდეს პრობლემებზე, რომლებსაც ადგილი ექნებათ განსაზღვრის პროცესში.

## შეუდარებელი საკითხების შედარება

ჩვენი უპირველესი არგუმენტი ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ ადამიანების უმრავლესობა იღებს რთულ გადაწყვეტილებებს საკუთარი ცხოვრების შესახებ. ეს გადაწყვეტილებები ეხება უამრავ სხვადასხვა საკითხს. მაგალითად, ტელევიზორს უყუროს თუ სასაქონლო წავიდეს; როგორ დახარჯოს ხელფასი და ა.შ. ხშირ შემთხვევაში ადამიანები იღებენ ასეთივე გადაწყვეტილებებს თავიანთი შვილების ან მეგობრების ნაცვლად(გულისთვის). მთავარი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ თითოეული ადამიანის საკითხით შეუძლია სრულყოფილ სხვა ადამიანების განვითარების კეთილდღეობის საერთო შეფასება.

თუ ჩვენ მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ხალხს შეუძლია გააკეთოს საკუთარი და ნათესავებისა და მეგობრების კეთილდღეობის სხვადასხვა ვარიანტების სწორი შეფასება, მაშინ ეს შესაძლებლობა შეიძლება გაგრძელდეს სასოფლო-სამეურნეო ცხოველებზეც. (სულ მცირე, გარკვეულ დონეზე მაინც).

ჩვეულებრივ, როცა ხალხი იღებს გადაწყვეტილებებს თავიანთი ცხოვრების ხარისხის ოპტიმიზაციის შესახებ, ისინი გამოხატავენ ე.წ.

“გლობალურ დამოკიდებულებას” გარკვეული ასპექტების შეფასებისას. მაგ. კინოთეატრში კარგი ფილმის ნახვისას ჩვენ ცალ-ცალკე არ ვაფასებთ ბატიუტის (პოპკორნის) სურნელის მნიშვნელობას, სკამების სირბილეს, ხმის ეფექტებს და ა.შ. ჩვენ გარკვეული თვალსაზრისით მივდივართ კინოს სანახავად, რათა მოვახდინოთ შედარება სხვა ალტერნატივებთან. თუმცა ცხოველთა კეთილდღეობის შემთხვევაში, თუ შედარების გაკეთება გვსურს, უმჯობესი იქნება გამოვეყოთ მრავალფეროვანი სიტუაციების სხვადასხვა ასპექტები.

პირველ რიგში, ხაზი უნდა გავეუსვათ იმ გარემოებას, რომ სხვადასხვა პარამეტრები არ განისაზღვრება (განიხილება) ერთმანეთის საწინააღმდეგოდ. ფოკუსირება უნდა მოხდეს პარამეტრების ინდივიდუალურ სისტემებზე. მაგ. ცხოველთა კეთილდღეობისთვის არა აქვს მნიშვნელობა რომელი პარამეტრი სჭარბობს: ცხოველთა სიმჭიდროვე თუ კერტების პრობლემა. რა თქმა უნდა, არსებობს კერტებთან დაკავშირებული ისეთი პრობლემაც, რომელიც ნაკლებად საზიანოა, ვიდრე ცხოველთა სიმჭიდროვის გარკვეული დონეები და პირიქით. ჩვენი ამოცანაა, გადავწყვიტოთ, თუ რომელი დონეა უფრო უკეთესი ან უარესი საქონლის კეთილდღეობის სტატუსისათვის. წესით, ეს შესაძლებელი უნდა იყოს ყველა მეცნიერული მონაცემის საფუძველზე. ამ მხრივ, ცხოველთა სიმჭიდროვისა და კერტების პრობლემის გარკვეული დონეები მოცემულ ცხოველებში შეფასდება, როგორც კეთილდღეობის განმსაზღვრელი თანაბრად მნიშვნელოვანი პარამეტრები. საბოლოო მიზანს წარმოადგენს კეთილდღეობის საერთო შკალაზე კეთილდღეობის პარამეტრების ყველა სისტემის გამოთვლა. ამ შკალაზე ყველა პარამეტრი, რომლებსაც ერთნაირი ქულები ექნებათ, ჩაითვლება ცხოველთა კეთილდღეობისათვის თანაბრად მნიშვნელოვნად. მაშასადამე, პარამეტრის თითოეული სისტემა მიიღებს ქულას და მოხდება ამ გაერთიანებული ქულის შედარება პარამეტრებს შორის.

არ არის საჭირო, რომ შკალა იყოს დეტალური. მინიმუმია ორი, და მართლაც ეს საერთოა სერტიფიცირების სისტემებში: პარამეტრების გათვლა წარმოებს გარკვეული ლიმიტის ზემოთ ან ქვემოთ. ინფორმაცია ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ მნიშვნელოვნად მცირდება კეთილდღეობის მხოლოდ ორი დონის გამოყენების დროს და ეს შემცირება იშვიათ შემთხვევაში დასაშვებია. ტერმინებმა, როგორცაა, მაგ. “გარე მისაწვდომობა” შეიძლება მოიცვას ყველაფერი: მთელი წლის განმავლობაში 24 საათი საძოვარზე ყოფნა და აგრეთვე რამოდენიმე საათის განმავლობაში დაბინძურებულ სავარჯიშო ტერიტორიაზე ყოფნა. დონეების რაოდენობის უმაღლესი (მაქსიმალური) ლიმიტი (რაოდენობა) შეზღუდულია შემქმნელის მიერ, იმისათვის, რომ განისაზღვროს პარამეტრების საზომი ქულები. ჩვენი გამოცდილებიდან ცნობილია, რომ ძალიან ძნელია 5-ზე მეტ დონეთა შორის განსხვავების პოვნა და შემდგომი დიფერენციაციაც იშვიათად არის საჭირო.

ამ გაერთიანებული ქულების განსაზღვრის შედეგად წარმოიქმნება ერთ-ერთი უდიდესი პრობლემა კეთილდღეობის შეფასების მთელ პროცესში.

დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს შკალის საბოლოო წერტილის განსაზღვრა (მაგ. 1 და 5) და შემდეგ მოხდეს საშუალო დონეების გამოთვლა. თუ ჩვენ გავითვალისწინებთ “ტანის მდგომარეობის ქულას” (BCS), იმ ადამიანს, რომელსაც გავლილი ექნება ტრენინგი, აუცილებლად უნდა ჰქონდეს სწორი წარმოდგენა “ძალიან გამხდარი ძროხის” და “ძალიან მსუქანი ძროხის” შესახებ. ამათ შორის უნდა იყოს “ნორმალური ძროხა”. ამჯერად ჩვენ გვაქვს ქულები 1, 3 და 5. ქულები 2 და 4 მოიცავს იმ ტერიტორიებს, რომლებიც ჯერ არ არის დაფარული 1, 3 და 5 ქულებით.

თუმცა არსებობს ორი სერიოზული პრობლემა ამასთან დაკავშირებით. პირველი, ძალიან დაბალი და ძალიან მაღალი “ტანის მდგომარეობის ქულამ” შეიძლება საფრთხეში ჩააგდოს ძროხის კეთილდღეობა და შკალა არ აჩვენებს რომელია უკეთესი ან უარესი - 1 თუ 5. მაშასადამე, ქულები შეიცვლება შკალაზე, სადაც შესაძლოა იყოს ასეთი სხვაობა. მეორე პრობლემა უფრო რთულია. მაშინაც კი, თუ ჩვენ შეგვეძლება ცალკეული პარამეტრის შეფასება, როგორცაა, მაგ. BCS (ტანის მდგომარეობის ქულა), 1-5 შკალაზე, ეს არ მიგვიყვანს იქამდე, რომ ეს შეიძლება შეედაროს სხვა პარამეტრს, ვთქვათ “სისუფთავის ქულას”, რომელიც აგრეთვე განლაგებულია 1-5 შკალაზე. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ ორი პარამეტრი თანაბრად მნიშვნელოვანი იქნება ცხოველთა კეთილდღეობისათვის, თუ მაგ. “ტანის მდგომარეობის” აღმნიშვნელი 5 ქულიდან ერთ-ერთს შევადარებთ “სისუფთავის” აღმნიშვნელ შესაბამის 5 ქულას. თუმცა აშკარაა, რომ ცხოველთა კეთილდღეობის თვალსაზრისით სისუფთავის შესაძლო უმდაბლეს დონეს ვერასდროს შევადარებთ ტანის მდგომარეობის შესაძლო უმდაბლეს დონესთან. აქედან გამომდინარე, შკალა უნდა შეფასდეს. ერთი შეხედვით, თითქოს უფრო უკეთესია, რომ გავამრავლოთ ქულები თითოეული პარამეტრისთვის შესაბამისი გათვლით. თუ აღმოვაჩინოთ, რომ “სისუფთავე” მხოლოდ ნახევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე “ტანის მდგომარეობა”, ამ შემთხვევაში ჩვენ “ტანის მდგომარეობის” ქულებს ვამრავლებთ 2-ზე, სანამ გავაგრძელებთ გამოთვლას. თუმცა ეს დამოკიდებულია ითვალისწინებს, რომ “ტანის მდგომარეობის” ნებისმიერი სისტემა ორჯერ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ნებისმიერი სხვა შესაბამისი “სისუფთავის” სისტემა. ვთქვათ ცხოველს აქვს მეორე საუკეთესო ქულა ორივე პარამეტრში, ე.ი. შედარებით კარგი “ტანის მდგომარეობა” ორჯერ მეტად უწყობს ხელს ცხოველთა კეთილდღეობას, ვიდრე სისუფთავის მაჩვენებელი. ჩვენ სერიოზულად ვეჭვობთ, იმის თაობაზე, დასაშვებია ეს თუ არა.

ჩანს, რომ ყველაზე სათანადო გამოთვლის მეთოდია შკალის სხვადასხვა ნაწილის გამოყენება სხვადასხვა პარამეტრებისთვის. მოცემულ 1-5 შკალაზე, სადაც 1 არის უარესი და 5 საუკეთესო, “ტანის მდგომარეობა” შეიძლება განლაგდეს 1-დან 5-მდე, როცა “სისუფთავე” განლაგებულია 3-იდან 5-მდე. ამჯერად ზოგიერთ დონეზე (3,4&5) პარამეტრების შედარება შესაძლებელია, მაგრამ “სისუფთავე” არასოდეს მოახდენს ისეთ სერიოზულ ზეგავლენას ცხოველთა კეთილდღეობაზე, როგორსაც ახდენს

“ტანის მდგომარეობა”. ეს აზრი მაგალითისთვის შერჩეულ იქნა ავსტრიისა და გერმანიის მიერ (TGI 35 L; TGI 200).

გამოთვლისთვის შექმნილი ტექნიკის საერთო ჩარჩოს მიუხედავად, ისევ პრობლემად რჩება საკითხი, თუ რომელი პარამეტრული დონეები ფაქტიურად თანაბრად მნიშვნელოვანი ცხოველთა კეთილდღეობისთვის? ამის საერთო პასუხი მდგომარეობს შემდეგში: ჩვენ უნდა დავეყრდნოთ ანალოგიური და ჰომოლოგიური შედარების პრინციპებს, როცა შესაძლებელია, რომ გამოვიყენოთ ყველა ხელმისაწვდომი მონაცემი როგორც ცხოველთა ასევე გარემოს მდგომარეობის შესახებ. ჩვენი გამოცდილებით ამ საერთო მითითებებს ლიმიტირებული დახმარება შეუძლიათ. ინგლისელმა ფილოსოფოსმა - ჯერემი ბენტამმა (1748-1832) შემოგვთავაზა უფრო ანალიტიკური ვარიანტი. ის ამბობდა, რომ პარამეტრების გათვლის მნიშვნელობა (რომელსაც ის უწოდებდა “გარემოებებს”) შეიძლება შეფასდეს შემდეგი 7 ატრიბუტის მიხედვით:

1. სიმჭიდროვე
2. ხანგრძლივობა
3. დადასტურებული და დაუდასტურებელი მონაცემები
4. მსგავსება და განსხვავება
5. ნაყოფიერება
6. სიწმინდე (სისხლი)
7. გავრცელება

პირველი 4 ელემენტი ეხება მხოლოდ თვითონ “გარემოების” მიერ გამოწვეულ სიამოვნებას ან ტკივილს. მე-5 და მე-6 სიამოვნების ან ტკივილის ალბათობას, რომლებიც მოსდევს სხვა მსგავს ან განსხვავებულ გრძნობებს, და მე-7 ელემენტი ათანაბრებს ზეგავლენის ქვეშ მყოფ ადამიანთა რაოდენობას. მე-3, მე-4, მე-5 ელემენტებს არ გააჩნიათ რეალური მნიშვნელობა, თუ საქონლის კეთილდღეობა უნდა შეფასდეს დროის განსაზღვრულ პერიოდში. ამის ნაცვლად უნდა იყოს გამოყენებული “სიხშირის” კონცეფცია, რომ შეფასდეს, თუ რა სიხშირით აქვთ ადგილი გარკვეულ “გარემოებებს” ამ განსაზღვრულ პერიოდში.

ეს აზრი მიღებულ იქნა იმის შესაფასებლად, თუ რა ზეგავლენას ახდენს მერძეული მიმართულების ძროხებში და ღორებში გავრცელებული სხვადასხვა დაავადებები კეთილდღეობაზე. მოცემული არეულობა (მოშლილობა) გათვლილი იქნა შემდეგი კომბინაციური ტერმინებით: “მოშლილობით გამოწვეული ტკივილის ინტენსივობა”, “მისი ხანგრძლივობა” და “მისი ფართოდ გავრცელება საქონელში”. “ტკივილის ინტენსივობის” შეფასება დაფუძნებული იყო კლინიკურ, ვეტერინარულ ცოდნაზე, თუ როგორ მოქმედებდა ცხოველებზე სხვადასხვა სახის მოშლილობა.

## რიგობითი და რაოდენობითი შკალები

იონსენმა განიხილა ევროპული შეფასების 9 სისტემა და აღმოაჩინა, რომ არსებობს ბევრი ტიპის შკალები. როგორც მანამდე განვიხილეთ, უმჯობესია შკალის ერთი ბოლო წარმოადგენდეს კეთილდღეობის საუკეთესო მდგომარეობას და მეორე ბოლო – უარესს, რაც სტატისტიკური ტერმინოლოგიით ნიშნავს, რომ შკალები უნდა იყოს რიგის, ინტერვალისა და კოეფიციენტის შკალები. რიგობით შკალაზე (მაგ. ა, ბ, გ, დ, სადაც ა არის საუკეთესო და დ არის უარესი), ნებისმიერი განზომილება ბ დონეზე უფრო უარესია, ვიდრე ნებისმიერი განზომილება ა დონეზე, და უკეთესი, ვიდრე განზომილებები გ და დ დონეებზე და ა.შ. თუმცა შეუძლებელია განისაზღვროს თუ რამდენად განსხვავდება ბ ა-სგან ან გ-სგან. თუ პარამეტრების ზომები ვერ მოერგება რიგობით შკალას, მაშინ მათი გამოყენება, განსაზღვრების თანახმად, შეუძლებელი იქნება ცხოველთა კეთილდღეობის შესაფასებლად. რიგობით შკალაზე გაზომილი პარამეტრის მაგალითია “ტანის მდგომარეობის ქულა” (BCS). არ გამოგვადგება საშუალო BCS-ის გამოთვლა ცხოველებისთვის. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ გამოვთვალოთ ცხოველთა პროპორციები, რომლებიც იღებენ თითოეულ ქულას.

ინტერვალურ შკალაზე (მაგ. -1, -2, 0, 1, 2 სადაც -2 არის უარესი და 2 საუკეთესო) დამატებით შესაძლებელია დონეებს შორის დისტანციას მივცეთ მრავალმნიშვნელოვანი შეფასება. მაშასადამე ნებისმიერი განზომილება -1 დონეზე თანაბრად განსხვავდება -2 დონისა და 0 დონის ნებისმიერი განზომილებისგან. შესაბამისად რამოდენიმე პარამეტრის ქულები შეიძლება იყოს დამატებული და გამოთვლილი.

კოეფიციენტის შკალები განსხვავდება ინტერვალური შკალებისგან იმით, რომ მათ აქვთ სუფთა ნულოვანი ქულა, რომლის ქვემოთაც არანაირი შეფასების გაკეთება აღარ შეიძლება (მაგ. 0,1,2,3,4, სადაც 0 არის უარესი და 4 არის საუკეთესო). ეს ნიშნავს, იმას, რომ სხვადასხვა დონეებს შორის არსებულ მანძილებზე დამატებით შესაძლებელია იმის დადგენა, რომ ყოველი შეფასება მე-2 დონეზე ორჯერ კარგია, ვიდრე ნებისმიერი შეფასება 1 დონეზე და ნახევრად კარგი - ნებისმიერ შეფასებაზე მე-4 დონეზე. შესაბამისად როცა ინტერვალური ან კოეფიციენტური შკალები არის არჩეული, ეს არის უკიდურესად კომპლექსური პროცესი, რომ განისაზღვროს თუ რა ქულები უნდა მივცეთ სხვადასხვა პარამეტრულ ზომებს.

აშკარაა, რომ სანამ ოფიციალურად მიუღებელი “კეთილდღეობის კავშირი” იარსებებს, სტატისტიკურად არ არის გამართლებული კეთილდღეობის შეფასება რიგობითი შკალის გარდა სხვა შკალებით. თუმცა არსებობს ტრადიცია რიგობითი შკალის მოხმარებისა რაოდენობითად. ეს გაკეთებულია BCS-ში და აგრეთვე ადამიანების მიმართ ძროხის საპასუხო ქცევების შესაფასებლად. უფრო მეტიც, ორივე TGI 35 და TGI 200 იყენებენ აშკარად ამ არასწორ სტატისტიკას. მიუხედავად ამისა, სადავოა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სტატისტიკურმა

შეცდომებმა, რომლებიც გამოწვეულია რიგობითების ცვლილებით რაოდენობითებად გადაწონა იმ უპირატესობებით, რაც ამ შემთხვევებმა მოგვცეს. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ინტერვალური შკალები უნდა გამოიყენებოდეს სხვადასხვა პარამეტრული ზომების შესადარებლად კეთილდღეობის შეფასებისთვის. მაშასადამე, შკალა შეიძლება გაფართოვდეს ორივე ბოლოში, მაგრამ ის მაინც უზრუნველყოფს თითოეული გამზომილების შედარებით შეფასებას.

## კომპენსაცია

კეთილდღეობის შეფასების პროტოკოლში ყველა განზომილება გადაიტანეს საერთო შკალაზე, შემდეგი ამოცანაა განსხვავებული განზომილებების კომბინირება კეთილდღეობის შეგროვებულ შეფასებებთან მთელი საქონლისთვის. ეს შეიცავს კომპენსაციის საკითხს, თუ როგორ და რამდენად შეუძლიათ პოზიტიურ ფაქტორებს ნეგატიური, კეთილდღეობის შემამცირებელი ფაქტორების კომპენსირება. ცხოველთა კეთილდღეობის შეფასების მეთოდებში არსებობს კომპენსაციის სამი დონე: არანაირი კომპენსაცია, ნაწილობრივი კომპენსაცია და სრული კომპენსაცია (იონსენი 2000).

## არანაირი კომპენსაცია

ცხოველთა კეთილდღეობის სერტიფიკაციის უმეტესი სტანდარტი არ უშვებს არანაირ კომპენსაციას პარამეტრებს შორის. შესაბამისად, უნდა მივადწიოთ წინასწარ განსაზღვრულ მინიმალურ დონეს ყოველი პარამეტრისთვის, იმისათვის, რომ შეიქმნას კეთილდღეობის გარკვეული სტანდარტი. შეფასების შედეგები ჩვეულებრივ წარმოდგენილია ბინომიალურ შკალაზე – ცხოველები აკმაყოფილებენ ან არ აკმაყოფილებენ მოთხოვნებს – თუმცა ტექნიკურად გამოყენებული უნდა იყოს 7-საფეხურიანი შკალა.

კომპენსაციის არდაშვების უპირატესობა პარამეტრებს შორის არის ის, რომ დასკვნა მოცემულია სრულიად სუფთად, რისი გარჩევაც ადვილად შესაძლებელია არასპეციალისტებისთვისაც (ფერმერები, მომხმარებლები, გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფი, ა.შ.). კეთილდღეობის სტატუსი წინასწარ განსაზღვრული დონის ზემოთაცაა და ქვემოთაც. თუ ზემოთაა, მაშინ კეთილდღეობის დონე მისაღებია, ხოლო თუ ქვემოთ - მაშინ მიუღებელი. მაგრამ სამწუხაროდ ეს მეთოდი საწყის სტადიაშია. ცალკეულ პარამეტრს შეუძლია შეცვალოს საბოლოო შედეგები “მისაღებიდან” – “მიუღებელამდე”. უფრო მეტიც, კეთილდღეობის მინიმალური დონე შეიძლება ადვილად გადაიქცეს მაქსიმალურად, რადგან არ არსებობს არანაირი სტიმული მწარმოებლებისთვის, რომ გააუმჯობესონ თავიანთი საქონლის კეთილდღეობის მინიმალური დონე.

## ნაწილობრივი კომპენსაცია

ეს ტერმინი “ნაწილობრივი კომპენსაცია” ეხება იმ სიტუაციას, სადაც ერთი პარამეტრის მაღალ ღირებულებას შეუძლია კომპენსაცია გაუწიოს დაბალი ღირებულების მქონე პარამეტრებს, რომლებიც ზემოქმედების ერთი და იგივე კატეგორიას მიეკუთვნება. ტიპურად, პარამეტრები დაჯგუფებულია ზემოქმედების ადგილების მიხედვით, მაგ. სოციალური ქცევა, დასვენება და კვება, და კომპენსაციას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ ერთი და იგივე ჯგუფის პარამეტრებს შორის.

ამ მეთოდის მაგალითი აღმოჩენილია კეთილდღეობის შეფასების სისტემაში საფრანგეთში კაპლევილ & ვეისიერის მიერ. მისი მიხედვით კომპენსაციას შეიძლება ადგილი ჰქონდეს წინასწარ განსაზღვრული პარამეტრების 5 ჯგუფში. ეს ჯგუფები დაფუძნებულია ცნობილ კონცეფციაზე (“5 თავისუფლება”) და შერჩეულია ცხოველთა კეთილდღეობის გარკვეული “კრიტერიუმის” გამოსავლენად.

ნაწილობრივი კომპენსაციის უპირატესობა არის ის, რომ მასთან დაკავშირებულ პარამეტრებს ერთმანეთის კომპენსირება შეუძლიათ. თუმცა მას აქვს მეორე მხარეც, ძალიან რთულია განსაზღვრო კატეგორიები, თუ რომელში რომელმა კომპენსაციამ შეიძლება იზიაროს თავი. თუ კომპენსაციას ადგილი აქვს მხოლოდ პარამეტრების გარკვეულ ჯგუფებში, ამ შემთხვევაში ჯგუფების შემადგენლობა ძალიან მნიშვნელოვანი ხდება.

მაგ, სამი პარამეტრი “იატაკის სირბილე”, “გამოყენებული თივის რაოდენობა” და “საძოვრების მისაწვდომობა” გამოიყენება ძროხის სხვა მდგომარეობის გადმოსაცემად დასაბამელ სადგომში. აქ ჩნდება კითხვა: “მაგარი იატაკი” თანაბრად კომპენსირდება თუ არა შესაბამისი რაოდენობის თივითა და საძოვრებით? ბევრი მეთვალყურე აცხადებს, რომ შესაბამისი რაოდენობის თივა უკეთესი კომპენსაციაა მაგარი იატაკისთვის, ვიდრე საძოვრები, რადგან თივა პირდაპირ ცვლის იატაკის სიმაგრეს (იატაკისა და თივის პარამეტრები ერთმანეთს ემთხვევა). თუმცა სადავოა ის საკითხიც, რომ საძოვრები ხელს უწყობს ფეხის ჯანმრთელობას და მაშასადამე ძროხას შეუძლია უფრო კომფორტულად დაისვენოს. ამ შემთხვევაში პარამეტრების კომპენსაციური შესაძლებლობა უკვე განსხვავებულია. დამატებით იგივე პარამეტრები შეიძლება მიეკუთვნებოდეს ერთ კატეგორიაზე მეტს, და შედეგად ის უფრო მეტად ფასობს, ვიდრე სხვა პარამეტრები.

## სრული კომპენსაცია

ავსტრიული TGI 35L და გერმანული TGI 200 არის ცხოველთა კეთილდღეობის შეფასების ეგრეთწოდებული ინდექსური სისტემის მაგალითები. მათში დაშვებულია კომპენსაცია ყველა ტიპის პარამეტრებს შორის. ეს სისტემები ყოფენ პარამეტრებს კატეგორიებად, 5-ისა და 7-ის შესაბამისად, და ცალკეული შუალედური ჯამები იანგარიშება თითოეული



კატეგორიისთვის. თუმცა შუალედური ჯამები საბოლოო შეფასების ქულასაც ემატება და შესაბამისად სრულ კომპენსაციას აქვს ადგილი. ამ მეთოდის სიძლიერე მდგომარეობს იმაში, რომ შესაძლებელია კეთილდღეობის შეფასების საერთო ქულის გამოთვლა, რომელიც შეიძლება შეედაროს ფერმების სიტუაციას დროთა განმავლობაში. ეს მეთოდი ეყრდნობა მოხერხებულ, მაგრამ ძალიან სადავო ფაქტს, რომ ნებისმიერი პარამეტრის უმაღლესმა დონემ შეიძლება კომპენსაცია გაუწიოს სხვა ნებისმიერი პარამეტრის ყველაზე დაბალ დონეს.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორი სახით ხდება კომპენსაციის შეზღუდვა შეფასების პროტოკოლში. ერთმანეთის თანხვედრ პარამეტრებს სჭირდებათ იდენტიფიცირება და გაფრთხილება, რომ არ მოგვცენ ადიტიური ეფექტები.

**კომპენსაციის მეთოდის ეფექტი**

იმის ილუსტრირებისთვის, თუ როგორ შეიძლება ზემოთ განხილულმა კომპენსაციის მეთოდებმა შეცვალონ კეთილდღეობის შეფასების შედეგები, შეიქმნა შემდეგი სახის მაგალითი, რომელიც დაფუძნებულია მერძეული მიმართულების ძროხების (ორ პატარა ზომის სადგომში) კეთილდღეობის შეფასებებზე. საილუსტრაციოდ ნაჩვენებია მხოლოდ 5 პარამეტრი, რომლებიც მიეკუთვნება 2 კატეგორიას. დაშვებულია, რომ ყველა პარამეტრი შეფასდეს 1-დან 5-მდე შკალაზე, სადაც 5 წარმოადგენს ცხოველთა კეთილდღეობის ყველაზე ხელსაყრელ დონეს. აგრეთვე დაშვებულია, რომ 1 და 2 ქულა ასახავს იმ გარემოებებს, რომლებიც არ არის მისაღები “მეგობრული კეთილდღეობისთვის”.

	<i>დასვენება</i> <i>სოციალური პირობები</i>				
	განლაგების ადგილის სიდიდე	განლაგების ადგილის სიზრბილე	ცხოველები – ერთ საკვებ ობიექტზე	ცხოველთა სიმჭიდროვე სასეირნო ადგილზე	ხელახლა შეჯგუფება
	1=შეზღუდული 5=შეუზღუდავი	1=მაგარი 5=რბილი	1=ბევრი 5=რამოდენიმე	1=მაღალი 5=დაბალი	1=ხშირი 5=იშვიათი
საქონელი ა	2	2	3	3	5
საქონელი ბ	3	3	5	1	3

შედეგები	არანაირი კომპენსაცია	ნაწილობრივი კომპენსაცია	სრული კომპენსაცია
საქონელი ა	ცხოველთა კეთილდღეობის მიუღებელი სტანდარტი	ცხოველთა კეთილდღეობის მიუღებელი სტანდარტი	ცხოველთა კეთილდღეობის მიღებული სტანდარტი
საქონელი ბ	ცხოველთა კეთილდღეობის მიუღებელი სტანდარტი	ცხოველთა კეთილდღეობის მიღებული სტანდარტი	ცხოველთა კეთილდღეობის მიღებული სტანდარტი

თუ კომპენსაცია საერთოდ არ არის დაშვებული, ვერც საქონელი მიაღწევს ცხოველთა კეთილდღეობის მისაღებ სტანდარტს. თავში “საქონელი ა” 2-მა პარამეტრმა ვერ მიაღწია 3-დან მინიმუმს და თავში “საქონელი ბ” ერთი პარამეტრი 3-ის ქვემოთაა. ა-მ ვერ დააკმაყოფილა კატეგორია “დასვენება” და ბ-მ კატეგორია “სოციალური პირობები”.

მეორე მხრივ, თუ ნაწილობრივი კომპენსაციის გამოყენებისას, ჩვენ გვაქვს 2 კატეგორიის მნიშვნელობის გამოთვლის საშუალება: ა-ში – “დასვენებას” ექნება 2-ის მნიშვნელობა, ხოლო “სოციალურ პირობებს” ექნება 3,7-ის მნიშვნელობა. მაშასადამე, საქონელი მაინც ვერ აღწევს მისაღებ დონეს. ბ-ში ორივეს (“დასვენებას” და “სოციალურ პირობებს”) აქვთ 3-ის მნიშვნელობა, რაც მისაღებია, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ერთ-ერთი პარამეტრი აღნიშნავს მხოლოდ 1-ს.

საბოლოოდ, სრული კომპენსაციის დროს ორივესთვის (ა და ბ) მნიშვნელობები თანაბარია; ორივეს აქვს 3 ქულა. შესაბამისად ორივეს აქვს კეთილდღეობისთვის მისაღები სტანდარტი.

ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ კომპენსაციის მეთოდზე დაფუძნებით ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ არცერთი სახის საქონელს (ა და ბ) არა აქვს კეთილდღეობისთვის მისაღები სტანდარტები.

## დასკვნა

კეთილდღეობის შეფასება ცხოველთა დონეზე ხორციელდება ევროპის რამოდენიმე ქვეყანაში და ამჟამად მიმდინარეობს რამოდენიმე საკვლევო პროექტი ამ საკითხზე. კეთილდღეობის შეფასებაში ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს ის, თუ რომელი განზომილებები უნდა შეფასდეს და როგორ უნდა მოხდეს მათი შედარება. ჩვენ განვიხილეთ, რომ ეს შეფასება შეუძლებელია, რომ არ ვისაუბროთ მონიტორინგსა და შედარებაზე, იმ შემთხვევაში, თუ არ ექნება ადგილი შედარებით პროცესს. ჩვენ აგრეთვე დავგეგმეთ ელემენტარული პრინციპები სხვადასხვა განზომილებების, განხილული უპირატესობებისა და ნაკლების შესაფასებლად სხვადასხვა ტიპის შეაღებზე. საბოლოოდ ჩვენ მივედით ტერმინამდე “კომპენსაცია განზომილებებს შორის” და გამოვაფიქრეთ, რომ კომპენსაციის სხვადასხვა სახის მეთოდმა შეიძლება არსებითი ზემოქმედება მოახდინოს ცხოველთა აღრიცხვიანობის ინტერპრეტაციაზე. მომავალში უნდა განხორციელდეს ეს მეთოდები საკომპენსაციო შეფასებების განსაზღვრისა და კომპენსაციის დონის დადგენისთვის თითოეულ შემთხვევაზე. ჩვენ ვიცით, რომ ცხოველთა კეთილდღეობის შეფასების სისტემებში ეს ჯერ არ გაკეთებულა არც ერთი მეთოდის მიხედვით და მაშასადამე მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ცხოველთა კეთილდღეობის შეფასების მომავალ განვითარებაში.